

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელება განათლებისა და მეცნიერების სფეროში

ლელა მაისურაძე

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
ევროინტეგრაციის პროგრამის კოორდინატორი*

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობა 2006 წლიდან თანამშრომლობის ახალ ეტაპზე გადავიდა. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა, რომელიც უფრო მჭიდრო და მიზანმიმართულ თანამშრომლობას გეგმავს, თანხვედრაშია საქართველოს მთავრობის პრიორიტეტებთან. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ერთობლივად შემუშავდა სამოქმედო გეგმა, სადაც განათლებისა და მეცნიერების სფეროში თანამშრომლობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. კერძოდ, მაქსიმუმ ხუთ წელზე გათვლილ სამოქმედო გეგმაში განათლებისა და მეცნიერების სფეროში შემდეგი მიმართულებები იკვეთება:

- ევროპის კვლევის სივრცის მოთხოვნების მიხედვით მეცნიერების სფეროს რეფორმირება;
- უმაღლესი განათლების რეფორმების გავრცელება „ბოლონიის პროცესის“ პრინციპების შესაბამისად;
- პროფესიული განათლების სისტემის ძირეული გარდაქმნა;
- განათლების და მეცნიერების სისტემაში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა

ამ მიზნების მისაღწევად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სისტემამ ძირეული ცვლილებები განიცადა როგორც საკანონმდებლო, ისე ინსტიტუციურ დონეზე. კერძოდ, მიმდინარეობს საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების დეცენტრალიზაცია, სკოლებს, უნივერსიტეტებს და კვლევით დაწესებულებებს სამართლებრივად მიენიჭათ ავტონომია მართვისა და ადმინისტრირების პროცესებში, სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არჩეულ იქნენ რექტორები და თვითმმართველობის ორგანოები; უნივერსიტეტებისა და კვლევითი ინსტიტუტების დაფინანსებაში დიდი წილი გააჩნია ღია კონკურენციის პრინციპებზე დაფუძნებულ საგრანტო დაფინანსებას და სხვა.

ამჟამად, რეფორმების განხორციელების ახალ ეტაპზე გადავიდეთ. თუ დღემდე მთავარ პრობლემას წარმოადგენდა გაუმართავი საკანონმდებლო ბაზა, დაფინანსების და მართვის არაეფექტიანი და გაუმჭვირვალე სისტემა და არათანაბარი ხელმისაწვდომი განათლებისა და კვლევაზე, დღეისათვის მთავარი აქცენტი კეთდება განათლებისა და კვლევის ხარისხზე, რაც ძირითადად დასაქმების მაჩვენებლების ზრდით, სამეცნიერო პროდუქციის კომერციალიზაციით და საერთაშორისო მონაწილეობის გაფართოებით განისაზღვრება. დღეისათვის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები იძულებული არიან კონკურენტულ გარემოში მოიხილონ სტუდენტები, მკვლევარები და სხვა რესურსები, რაც თავის მხრივ ზრდის საგანმანათლებლო დაწესებულებების მოტივაციას იზრუნონ ხარისხის ამაღლებაზე. გარდა ამისა, რეფორმის მთავარი მიზანია ე.წ. პროცესზე-ორიენტირებული განათლებიდან, სადაც მთავარი აქცენტი მასწავლებლის როლსა და ცოდნის გადაცემაზე კეთდებოდა, გადავიდეთ შედეგზე ორიენტირებულ განათლებაზე, სადაც მთავარია სტუდენტის ინტერესების გათვალისწინება, რათა მან თავისუფლად შეძლოს როგორც სწავლის შემდეგ საფეხურზე გადასვლა, ისე დასაქმება. ამისათვის, სტუდენტები და მკვლევარები ვიწრო სპეციალიზაციასთან უნდა დაუფლონ ისეთ ტრანსფერულ უნარებს როგორცაა კომუნიკაცია მშობლიურ და უცხო ენებზე, მენეჯმენტი, მეწარმეობა და გუნდური მუშაობა და სხვა, რათა თანამედროვე სწრაფად ცვალებად შრომის ბაზარზე გაიზარდოს მათი დასაქმების და მიღებული ცოდნის ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობები. შესაბამისად, აკადემიური ან პროფესიული კვალიფიკაციის მიღების შემდეგ დასაქმება საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის მაჩვენებელი უნდა გახდეს. მნიშვნელოვანია, შრომის ბაზარზეც არსებობდეს მოთხოვნა ყველა დონის კვალიფიკაციაზე, როგორც სახელობო პროფესიებზე, ისე აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტებზე. ამისათვის შრომის ბაზრისა და საგანმანათლებლო სექტორს შორის ურთიერთკავშირი ისე უნდა დარეგულირდეს, რომ თეორიისა და პრაქტიკის მიზანმიმართული შერწყმით, ნებისმიერი დონის კურსდამთავრებულს დამატებითი წვრთნის გარეშე შეეძლოს შესაფერის სამუშაო ადგილზე დასაქმება, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში. გარდა ამისა, მკვეთრად უნდა განისაზღვროს თუ რა დონის კვალიფიკაციაა საჭირო ამა თუ იმ პროფესიისათვის და შესაბამისი კომპეტენციების განსაზღვრაში სოციალური პარტნიორების - დამსაქმებლების, პროფესიული ასოციაციების და კავშირების მონაწილეობა გადამწყვეტ როლს თამაშობს.

რეფორმის ამ ეტაპზე უკვე გაიზარდა განათლების მიღებისა და პროფესიის დაუფლების შესაძლებლობები. კერძოდ, საქართველოს მასშტაბით ჩამოყალიბების პროცესშია სხვადასხვა პროფილის 11 პროფესიული სწავლების ცენტრი. ამ დროისთვის ცენტრები აღიჭურვა შესაბამისი ტექნიკით და ინფრასტრუქტურით, განახლდა სასწავლო გეგმები და პროგრამები, გადაზიდნენ ცენტრების ინსტრუქტორები/მასწავლებლები, განისაზღვრა მისაღები კონტიგენტი სპეციალობების მიხედვით და სხვ. მიმდინარეობს აქამდე არსებული საშუალო და დაწყებითი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეორგანიზაცია-ოპტიმიზაცია და ლიცენზირება. უმაღლეს განათლებასთან ერთად ყოველწლიურად სულ მცირე 4000 ახალგაზრდა და ზრდასრული მოქალაქე მიიღებს თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტის შესაბამის პროფესიულ განათლებას ანუ მათ მიეცემათ შრომის ბაზარზე დასაქმების ხელშესახები პერსპექტივა.

პროექტის "უმაღლესი განათლების სტრატეგიული დაგეგმვა შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად" ფარგლებში, განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი ახორციელებს შრომის ბაზრის კვლევას. ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდება თუ რა კვალიფიკაციებია და უნარებზეა მოთხოვნა საქართველოს შრომის ბაზარზე და როგორ შეიძლება უმაღლესი განათლების სისტემაში მოამზადოს კადრები, რომლებსაც ექნებათ შრომის ბაზარზე მოთხოვნილი კვალიფიკაციები და უნარები. ცენტრი ასევე ახორციელებს პროექტს "ერთიანი სტუდენტური ელექტრონული ბაზის შექმნა და მართვა". პროექტის მიზანია აკრედიტაციის ცენტრში საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტური კონტინგენტის შესახებ საჯარო ინფორმაციის აკუმულირება, ერთიანი სისტემაში მოქცევა, სტუდენტთა მობილობის პროცესის გამარტივება და ხელშეწყობა.

ევროკავშირის ე.წ. „ლისაბონის სტრატეგია“ მიზნად ისახავს, 2010 წლისათვის მსოფლიოში ყველაზე კონკურენტუნარიანი და დინამიური ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ჩამოყალიბებას, რაც სამუშაო ადგილების ზრდას გამოიწვევს. ამ მიზნის მისაღწევად, როგორც დადგინდა, წევრმა ქვეყნებმა წელიწადში თითო სტუდენტის დაფინანსება 10 000 ევროთი უნდა გაზარდონ, რაც ევროკავშირის ერთიანი შიდა პროდუქტის 2%-ს უტოლდება. აღსანიშნავია, რომ დაფინანსების გაზრდა იგეგმება არა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, არამედ მეწარმეობიდან, შემოწირულობებიდან და სხვა წყაროებიდან.

საქართველოში განათლებისა და მეცნიერების დაფინანსების მზარდი დინამიკის შენარჩუნება კვლავ უცვლელ პრიორიტეტად რჩება. 2011 წლისათვის იგეგმება სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების გაორმაგება, თუმცა აუცილებელია მოხდეს დაფინანსების წყაროების შემდგომი დივერსიფიკაცია; მაგალითად, თუ საქართველოში მეცნიერების დაფინანსება 2004 წლამდე მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 0.2 პროცენტს შეადგენდა, დღეისათვის გაიზარდა დაფინანსება ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, როგორებიცაა ISTC, STCU, NATO, INTAS, CRDF და სხვა. უახლოეს მომავალში, ქვეყნის ეკონომიკის სწრაფ და მდგრად განვითარებასთან ერთად, საქართველოს მეცნიერების გაზრდილ დაფინანსებაში ადგილობრივი და საზღვარგარეთის მეწარმეთა წილის გაზრდა უაღრესად მნიშვნელოვანია სექტორის სრულყოფილი განვითარებისთვის.

მიმდინარე წლის 17-18 მაისს ბოლონის პროცესის ფარგლებში ლონდონში გამართული განათლების მინისტრების მე-5 კონფერენციაზე საქართველოში მიმდინარე უმაღლესი განათლების რეფორმები დადებითად შეფასდა. ბოლონის პროცესის შემფასებელთა ჯგუფის ანგარიშში, საქართველომ შეფასების 12-ვე კრიტერიუმით დადებითი შეფასება მიიღო. ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის ანგარიშში, რომელიც კონფერენციაზე გავრცელდა, აღნიშნულია, რომ „მნიშვნელოვანი რეფორმების გასატარებლად ბოლონის პროცესის ეფექტური გამოყენების მაგალითს საქართველო გვთავაზობს“. საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის ანალიზი კი პირველად მოხვდა ევროკომისიის ავტორიტეტულ პუბლიკაცია „ვერიდიკეში“;

საქართველო ბოლონის პროცესში 2005 წლის 19 მაისს გაწვერიანდა. ამ პროცესში ამაჟამად 46 ევროპული ქვეყანა გაერთიანებული და მისი მიზანია 2010 წლისათვის უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ჩამოყალიბება. გაწვერიანების შემდეგ 2005-2007 წლებში საქართველო აირჩიეს ბოლონის საბჭოს წევრად და ასევე, მონაწილეობდა ლონდონის კომუნიკის სამუშაო ჯგუფის მუშაობაში, ამით საქართველოს მიეცა შესაძლებლობა არა მხოლოდ ოფიციალურად გაწვერიანებულიყო ამ პროცესში, არამედ მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა ბოლონის პროცესის სამომავლო პრიორიტეტებისა და ამოცანების განსაზღვრაში. მაგალითად, კონფერენციაზე მიღებულ ლონდონის კომუნიკეში საქართველოს ინიციატივით შევიდა ფრაზა, რომელიც გმობს

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დისკრიმინაციას. ამ ფრაზის შეტანა აუცილებელი გახდა მას შემდეგ, რაც რუსეთის ფედერაციის საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მრავალი მოსწავლე და სტუდენტი გაირიცხა ეთნიკურ თუ პოლიტიკურ ნიადაგზე. საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტებისა და პერსონალის წინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაციული ზომები ეწინააღმდეგება ბოლონის პროცესის სულისკვეთებას და საფრთხეს უქმნის უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნას. ლონდონის კომუნიკეში ასევე საუბარია, ჩვენთვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა, სავიზო რეჟიმის გამარტივება სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის, დიპლომების და სხვა საგანმანათლებლო დოკუმენტების აღიარება ევროპის მასშტაბით, საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება, ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, განათლებისა და შრომის ბაზრის ურთიერთკავშირის გაძლიერება, ახალბედა მკვლევარებისათვის შეღავათების დაწესება და სხვა.

საქართველო გასული წლების განმავლობაში აქტიურად იყო ჩართული ევროკავშირის სამეცნიერო პროგრამებში, როგორებიცაა მე-5 (FP5) და მე-6 ჩარჩო პროგრამები (FP6). FP5-ის ფარგლებში საქართველომ 17 პროექტში მიიღო მონაწილეობა, ხოლო FP6-ის ფარგლებში 93 განაცხადი იქნა წარდგენილი და მათგან 17 დაფინანსდა. 1992 წლიდან 2004 წლამდე მეცნიერთა 211-მა ჯგუფმა მიიღო მონაწილეობა ყოფილი საბჭოთა კავშირის ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა მეცნიერებთან თანამშრომლობის მხარდაჭერი საერთაშორისო ასოციაცია – ინტასის 172 კოლაბორაციულ კვლევით პროექტში, რომელთა საერთო დაფინანსება 3.5 მილიონი ევროს შეადგენდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეფექტურობის თვალსაზრისით ამ პროექტებმა მაღალი შეფასება ვერ მიიღო, რადგან ისინი ყოველდღიურ საჭიროებებზე იყო გათვლილი და არ ქმნიდნენ ახალ ცოდნას. მინიმალური იყო მეწარმეობის მონაწილეობა, სუსტი იყო პარტნიორობა, რაც არამდგრად კონსორციუმს ქმნიდა. ამჟამად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და ინტასის ერთობლივი პროექტის საშუალებით 9 ახალგაზრდა მეცნიერი აგრძელებს კვლევებს ევროპის წამყვან ინსტიტუტებში. სამხრეთ კავკასიის 2006 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 17 პროექტიდან 12 სრულდება ქართველ მეცნიერთა მონაწილეობით, რისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 150 ათასი ევრო, ხოლო ინტასმა უზრუნველყო 340 ათასი ევროთი დაფინანსება. საერთაშორისო პროექტებში თანადაფინანსებით მონაწილეობა ქვეყნის ერთ-ერთ პრიორიტეტად სახელდება, რაც საფარაულოდ უფრო გაზრდის საერთაშორისო თანამშრომლობას და გააუმჯობესებს კვლევის ხარისხსა და ეფექტიანობას.

2007 წლიდან შესაძლებლობა გვეძლევა ევროკავშირის სხვა პროექტებშიც აქტიურად ჩავეერთოთ, როგორებიცაა „ერაზმუს მუნდუსი“, „მარი კიური“, „უან მონე“, მე-7 ჩარჩო პროგრამა და სხვა. 2007 წელს „ერაზმუს მუნდუსის“ ფარგლებში საქართველოდან ხუთი სტუდენტი გაემგზავრება ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში სამაგისტრო ხარისხის მისაღებად. მე-7 ჩარჩო პროგრამა 2013 წლამდე გაგრძელდება და მისი ბიუჯეტი 54 მილიარდ ევროს შეადგენს. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია შეიქმნას შესაბამისი წინაპირობები, რათა გაიზარდოს საქართველოს მეცნიერთა მონაწილეობა FP7-ში. ეს წინაპირობები ძირითადად გულისხმობს საზოგადოების მაქსიმალური ინფორმირებას, საქართველოს სასწავლო პროგრამების დაახლოებას ევროპულ სტანდარტებთან, ენობრივი ბარიერების მოხსნას, მეცნიერებისა და მკვლევარების საერთო რეგიონული ქსელის ჩამოყალიბებას და სხვ.

განათლება, კვლევა და ინოვაცია (ე.წ. „ცოდნის სამკუთხედი“), უნივერსიტეტების მთავარი მიმართულებებია დღევანდელ ევროპაში. ჩვენი მიზანმიმართული უნივერსიტეტების მოდერნიზებაა ისე, რომ ეს სამი მიმართულება მაქსიმალურად განვითარდეს. ამჟამად, მუშავდება მეცნიერების განვითარების სტრატეგია, რომელიც ქვეყნის მოთხოვნებსა და საერთაშორისო გამოცდილებაზე იქნება დაფუძნებული. აუცილებელია შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება, უპირატესობის ცენტრების დაფუძნება, უნდა გაიზარდოს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი განვითარებისათვის მნიშვნელოვანი კვლევების რაოდენობა და ამ მიმართულებით სახელმწიფო და კერძო სექტორის პარტნიორობა.

მნიშვნელოვანია, ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე ჩვენს მოქალაქეებს შეეძლოს ცოდნისა და კომპეტენციის განახლება, როგორც საკლასო ოთახებში და აუდიტორიებში, ისე დისტანციური, მულტიმედიაური და სხვა არაფორმალური სასწავლო საშუალებების გამოყენებით. მეგაპროგრამა „ირმის ნახტომის“ ფარგლებში, ამ დროისთვის სკოლებში უკვე შეტანილია 7350 უახლესი პერსონალური კომპიუტერი და გადამზადდა 3200-ზე მეტი პედაგოგი. 2007 წლის ბოლომდე ყველა სკოლა ჩაერთდება ინტერნეტში. ორ წელიწადში იგეგმება გავიდეთ აღმოსავლეთ ევროპულ მაჩვენებლებზე: 1 კომპიუტერი 20 მოსწავლეზე, მაშინ, როდესაც ორი წლის წინ ეს მაჩვენებელი იყო 1:200-სთან.

2007 წელს საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელი ახალი თანამგზავრული არხით ჩაერთო კვლევისა და განათლების პან-ევროპულ ქსელში - GEANT2. ამჟამად, საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელის ასოციაცია „გრენა“, საბერძნეთთან, თურქეთთან და ორგანიზაცია DANTE-სთან ერთად ამუშავებს პროექტს GEANT 2-ში ბოჭკოვან ოპტიკური არხით საქართველოს მიერთებასთან დაკავშირებით, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს საქართველოს სამეცნიერო სისტემის ინტეგრაციას ევროპული კვლევით სივრცეში.

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა უნიკალურ შესაძლებლობას გვთავაზობთ ქვეყნის პორიორიტეტები განათლებისა და მეცნიერების ყველა მიმართულებით ერთ ჭრილში განვიხილოთ და არსებული ფინანსური, ადამიანური და მატერიალური რესურსები ქვეყნის გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად გამოვიყენოთ. ამგვარად, ევროკავშირის ახალი ინსტრუმენტი ცვლილებების სისტემური განხორციელების საშუალებას იძლევა, რაც თავის მხრივ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის, სოციალური კეთილდღეობის და მშვიდობიანი თანაცხოვრების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.